Tissons des liens
Pas des menottes
Oeuvre collective solidaire

- GÉORGIEN -

# მოვჭიმოთ კავშირები, არა ხელბორკილები

სოლიდარობის კოლექტიური თანამშრომლობა, რომელიც ხელბორკილებს გარდაქმნის კავშირების ბადედ, ხელბორკილებს, რომლებსაც ხშირად იყენებენ ემიგრანტებისთვის, მნიშვნელობა არ აქვს საბუთიანები არიან თუ უსაბუთო.

ხელბორკილებისგან შექმნილი ეს ბადე არის სიმბოლო როგორც მოქალაქეებისთვის ასევე პოლიტიკოსებისთვის, ბრიუსელში, ფლამანდიაში, ვალონიაში და სხვა ქვეყნებში, რომ უზრუნველყონ მიგრანტებეის სრულფასოვანი მიღება და ინტეგრაციის გრძელვადიანი პროცესი

# სოლიდარობის გიგანტური ბადე

ამ ბადის რეალიზება მოხდა მხატვარი ბენედიქტ მოიერსონის ინიციატივით და Commune hospitalière (სტუმართმოყვარეობის მუნიციპალიტეტი) საერთო თანამშრომლობით. მთელი ბელგიის მასშტაბით მოხდა მოქალაქეების ორგანიზებული მობილიზება, რათა მოიძებნოს მიგრაციის ახალი კონსტრუქციული ხედვა და პოზიტიური მიდგომა.
2023 წლის აპრილიდან მოქალაქეები, 5-თი წლიდან 69 წლამდე, ყოველ დღე ქმნიან ქსელს, პატარ-პატარა ჯგუფებით და ფრაგმენტებით, სკოლებში, სხვადასხვა ორგანიზაციებში, მოხუცებულთა თავშესაფარებში, კულტურულთა ვყრილობებზე და ადგილობრივ თვითშეკრებებზე.

ამ ბადის შექმნა არის სოლიდარობის გამოხატვის ექსპერიმენტი, დავამყაროთ კავშირები, ახალი ნაცნობობა, იდეების გაცვლა და კონკრეტული ქმედებების გააზრება.

- GÉORGIEN -

# სიმბოლური თანამშრომლობა საზოგადოებრივ გარემოში

მუშაობა ხდება 112 000 ხელბორკილისგან, ეს რგოლები სიმბოლურად გამოხატავს უსაბუთო ემიგრანტების რაოდენობას რომლებიც ბელგიაში ცხოვრობენ, რგოლებსგან შექმნილი ეს ბადე გამოიფინება მთელი ქვეყნის მაშტაბით, რომელიც არის მყარი კავშირების დემონსტრაციის ეტალონი და სურვილი მივიღოთ დევნილები ფართოთ გაშლილი ხელებით.

ამ გიგანტური ბადის იდეა ეკუთვნის ალენა დე კლურკის, ხოლო იდეის რეალიზება შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანებული კოლექტიური ურთიერთთანადგომით.

ბადის შესაქმნელად გამოყენებული იქნა პლასმასის ხამუთები. შესაძლებელია ხამუთების ხელახალი გადამუშავება და მათი ხელახალი გამოყენება.
ეს ბადე შექმნილია მისი გრძელვადიანი გამოყენებისთვის როგორც ბელგიაში ასევე მის საზღვრებს გარეთ, როგორც სიმბოლო და გზავნილი ყველასთვის და ყველგან მიუხედავად ასაკისა და წარმომავლობისა

მიგრაციის პოლიტიკ მომართული უნდა იყვეს ლტოლვილების ღირსეულ მიღებაზე და უზრუნველყოფდეს ადაპტაციის პროცეს.

ამ თემასთან დაკავშირებული სურათები და პარტნიორი ორგანიზაციების სია შეგძლიათ იხილოთ ბმულზე:
https://benedictemoyersoen-oeuvrescollectivessolidaires.be